

სარჩევი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა	4
ბანკის განვითარების ისტორია	6
მენეჯმენტის ანგარიში	9
▶ მენეჯმენტის სტრუქტურა	
▶ საკრედიტო საქმიანობა	
▶ ფინანსები	
▶ საბანკო მომსახურება	
▶ საერთაშორისო ურთიერთობები	
▶ ფასიანი ქაღალდები	
საკორესპონდენტო ქსელი	27
ფილიალები	28
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	29

CONTENTS

INTRODUCTION BY THE CHAIRMAN OF SUPERVISORY BOARD	4
HISTORY OF DEVELOPMENT	6
MANAGEMENT REPORT	9
▶ MANAGEMENT STRUCTURE	
▶ CREDIT INFORMATION	
▶ FINANCES	
▶ BANKING SERVICE	
▶ INTERNATIONAL RELATIONS	
▶ SECURITIES	
CORRESPONDING NETWORK	27
BRANCHES	28
INDEPENDENT AUDITORS REPORT	29



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

INTRODUCTION BY THE CHAIRMAN OF SUPERVISORY BOARD

„ბანკი ქართუ“ საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების ბაზარზე კვლავაც ერთ-ერთი ლიდერია და საკუთარი ამბიციური გეგმების რეალიზებისთვის ყველა საჭირო ინსტრუმენტი გააჩნია. ბანკის მენეჯმენტს შესწევს ძალა განახორციელოს სიღრმისეული ძვრები არჩეული სტრატეგიის განსახორციელებლად.

გასულ წელს მიღებული ფინანსური მაჩვენებლები მიღწეულია ბანკის აქტივების (ძირითადად საკრედიტო პორტფელის) მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე ასევე, მართვის სწორი სტრატეგიისა და პროფესიონალთა გუნდის თავდაუზოგავი შრომის შედეგად.

„ბანკი ქართუ“ სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან განსხვავებული სტრუქტურაა. ჩვენი მიზანია არამარტო საბანკო პროდუქტების გაუმჯობესე-

CARTU BANK continues to be one of the leaders on the Georgian financial institutions market, and has all that it takes to flesh out its ambitious plans. The Management of the Bank is both willing and able to perform sweeping changes to implement its strategies.

The last year's financial indicators were achieved against the background of a significant increase in the Bank's assets (mainly the credit portfolio) and by the right and sound strategy of the Management and unsparing efforts and commitment of the professional team.

CARTU BANK differs from other financial institutions in its structure. Our goal is not only to improve bank products and establish a wide range of services but also to completely meet the needs of each customer.

ბა და მომსახურების მრავალფეროვნება, არამედ თითოეული კლიენტის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

თამამად შემოიძლია განვაცხადო, რომ „ბანკი ქართუ“ კლიენტზე ორიენტირებული ბანკია და ჩვენი საქმიანობის მოდელი კლიენტის საჭიროებების შეფასებას, შესწავლასა და მომხმარებლის მოთხოვნების გაზიარებას ეყრდნობა.

სწორედ ასეთ ხედვას ეფუძნება ჩვენი მთავარი ამოცანა: ვიყოთ ლიდერები მსხვილი და საშუალო კომპანიების საბანკო პროდუქტების ბაზარზე, უზრუნველვყოთ მათი საიმედო და მაღალი ხარისხის მომსახურება. ჩვენს ინიციატივას საზოგადოებისა და მომხმარებლების მხრიდან შესაბამისი გამოხმაურება უკვე მოჰყვა - „ბანკი ქართუ“ კლიენტის ბიზნესის განვითარების იმიჯით სარგებლობს, ანუ ისეთი ბანკის სახელით, რომელიც პარტნიორია მომხმარებლისათვის ბიზნესის წინსვლასა და განვითარებაში.

2004 წელს ბანკი კორპორატიულ კლიენტებსა და მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე აკეთებდა აქცენტს. ზუსტად გათვლილმა პოლიტიკამ განსაზღვრა ბანკის შემდგომი პრიორიტეტები და საქმიანობის სამომავლო მიმართულებები.

გასულმა წელმა კიდევ ერთხელ დაგვანახა არჩეული გზის სისწორე. თუმცა, ჩვენ არ ვაპირებთ მიღწეულით დაკმაყოფილებას და შევეცდებით, მეტი სიახლე და მომსახურების კიდევ უფრო მაღალი ხარისხი შევთავაზოთ კლიენტებს.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩვენთან ერთად გაიზიარა ეს წარმატებები. ჩვენ კვლავ თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს.

გიორგი ლომაია

I can say with confidence that CARTU BANK is a client-oriented bank and the model of our business is based on assessment and study of customer needs and consumers.

Our goal is based on this vision: be leaders on the banking product market of large and medium-size companies, ensure reliable and high quality services.


Our initiative already had a strong response from the side of society and consumers - CARTU BANK has the image of a developer of the clients business, i.e. the image of the bank, which provides partnership to the consumer in their business progress and development.

In 2004 the Bank focused on the corporate clientele and development of major investment projects. Well-calculated policy determined the Bank's priorities and future direction of operation.

Last year showed us the correctness of the direction chosen. But we are not planning to be satisfied and will try to introduce more novelties and higher quality of service to our client.

Thanks all who shared with us this success. We still hope for your cooperation

Giorgi Lomaia



განვითარების ისტორია

HISTORY OF DEVELOPMENT

სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“ 1996 წლის 1 ნოემბერს დაფუძნდა, 1997 წლის 9 იანვარს კი საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზია მიიღო. ამ დროიდან მილიონიანი სანესდებო კაპიტალით, „ბანკი ქართუ“ აქტიური საბანკო ოპერაციების განხორციელებას შეუდგა.

1997 წლიდან „ბანკი ქართუ“ SWIFT საერთაშორისო სისტემის წევრია, რაც მას საშუალებას აძლევს მიმალურ ვადებში განახორციელოს გადარიცხვები.

1998 წელს ბანკმა მიიღო ლიცენზია ძვირფას ლითონებთან და ქვებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებაზე. იმავე წელს ბანკმა მიიღო საქართველოს ფასიანი ქაღალდების გამოშვების ლიცენზია.

1999 წელს ბანკმა მიიღო სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციის ლიცენზია და შეუდგა სალომბარდე ოპერაციების წარმოებას.

2000 წლის დასაწყისიდან ბანკი თავის კლიენტებს სთავაზობს სწრაფ ფულად გზავნილებს პოპულარული სისტემით Western Union-ი.

2000 წლის აგვისტოს „ბანკ ქართუსა“ და რუსეთის ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკ „იმპექსბანკს“ შორის გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, „ბანკი ქართუ“ ასრულებს რუსეთსა და საქართველოს შორის ორმხრივ გადარიცხვებს ფიზიკური პირებისთვის, ანგარიშის გახსნის გარეშე, ხელსაყრელი ტარიფით.

2001 წლის აპრილში, აქციონერთა გადაწყვეტილებით, „ბანკი ქართუმ“ სს „აბსოლუტბანკის“ აქტივ-პასივების განსაზღვრული ნაწილი შეისყიდა. „აბსოლუტბანკთან“ გაფორმდა ხელშეკრულება უფლებებისა და მოთხოვნების დათმობის შესახებ და დაიდო შეთანხმება ვალის გადაფორმების შესახებ. მსგავს მოვლენას საქართველოს საბანკო სისტემაში ადგილი არ ჰქონია, სრულად იყო დაცული კლიენტურისა და მენაბრეების ინტერესები. ბანკმა „აბსოლუტბანკისგან“ შეიძინა საბარათე ბიზნესის სრული პაკეტი და გახდა საპროცესინგო ცენტრის მფლობელი. საერთაშორისო საბარათე სისტემამ „ვიზა ინტერნეშნლმა“ „ბანკ ქართუს“ ვიზა საერთაშორისო სისტემის ძირითადი წევრის სტატუსი მიანიჭა. დღეს „ბანკი ქართუ“ უზრუნველყოფს საკუთარი ვიზა ბარათების გამოშვებას, ასევე, ემსახურება საქართველოს სავაჭრო ობიექტებს ადგილობრივი და უცხოური ვიზა ბარათებით.

The joint stock company CARTU BANK was established on November 1st 1996, and on January 9, 1997 obtained general banking license. From this time with the founding capital of 1 million, CARTU BANK started active banking operations.

1997 - CARTU BANK becomes a member of SWIFT International system, which allows it to conduct transfers in minimal time frames.

1998 - the Bank obtained a license for operations associated with precious metals and stones. In the same year the bank received a license for Georgian securities issuance.

1999 - the Bank obtained the Assay Supervision Board's license and started pawnshop business.

2000 - the Bank offers its clients the rapid money transfer services via popular Western Union system.

In August 2000, based on the contract made by and between CARTU BANK and the largest Russian banks ImpexBank, CARTU BANK effect bilateral money transfers between Russia and Georgia for physical persons, without opening an account, at favorable rate.

In April 2001, by the decision of the stakeholders, CARTU BANK acquired a part of a part of Absolute Bank's assets and liabilities.

Assignment agreement and a contract on conversion of debts were signed with Absolute Bank. Such event has never taken a place in the banking system of Georgia, the interests of clients and depositors were protected in full. The BANK purchased from Absolute Bank a full package of the card business and became the owner of Processing Center. CARTU BANK obtained the principal member's status of the VISA International System. At present CARTU BANK issues its own VISA cards and provides service to sale outlets of Georgia via local and foreign VISA cards.

April 2002 - the Bank signed a contract with "MASTERCARD", and became the principal member of the International Payment System EUROPAY.

2002 - For the first time in Georgia, a general agree-

2002 წელს აპრილში ბანკმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „MASTERCARD“-თან და გახდა Europay საერთაშორისო საგადასახადო სისტემის ძირითადი წევრი.

2002 წელს, პირველად საქართველოში, „ბანკი ქართუსა“ და Diners Club International-ის საერთაშორისო საგადასახადო სისტემას შორის ბარათების მომსახურების შესახებ დაიდო გენერალური ხელშეკრულება.

ორი ბანკის კაპიტალიზაციითა და ერთ ძლიერ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბებით, ბანკმა მისი აქტივებისა და კაპიტალის მოცულობით, საქართველოს საბანკო სისტემაში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა.

მედიაპოლდინგ „ჯორჯიან თაიმის“ ტრადიციულმა ბიზნეს-რეიტინგმა კომპანია „ბანკი ქართუ“ და მისი ხელმძღვანელი **2002 წელს** საქართველოს 21 საუკეთესო კერძო კომპანიათა შორის დაასახელა.

2003 წლიდან ბანკმა მოიპოვა AMERICAN EXPRESS და DINERS CLUB ბარათების მომსახურების უფლება.

2003 წლის 25 მაისს საგამომცემლო სახლ „ჯორჯიან თაიმის“ მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ბიზნეს-რეიტინგის საზეიმო ცერემონიაზე „ბანკი ქართუ“ „წლის საუკეთესო კომპანია/ბიზნესად“ დასახელდა. ბანკი დაჯილდოვდა პრიზით ნომინაციაში - „სტაბილური პროგრესი და დინამიურობა“.

2003 წელს ბანკმა დაიწყო მასტერქარდ ბარათების გამოშვება, უფრო გვიან კი მათი მომსახურება. მასტერქარდის საერთაშორისო საგადასახადო სისტემაში სერტიფიცირების შემდეგ, **2004 წლის 7 ოქტომბერს** „ბანკ ქართუს“ საქართველოს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში მასტერქარდი პლასტიკური ბარათების მომსახურების უფლება მიენიჭა.

ამჟამად „ბანკი ქართუ“ ერთადერთი ბანკია ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც ემსახურება VISA, MASTERCARD, AMERICAN EXPRESS და DINERS CLUB საერთაშორისო პლასტიკურ ბარათებს.

2004 წელს პლასტიკური ბარათების მომსახურებისა და პროცესინგის განყოფილებამ გამოუშვა 10 000 პლასტიკური ბარათი, როგორც ინდივიდუალური პირებისათვის, ასევე სახელფასო პროექტების ფარგლებში.

2004 წელს ბანკმა პარტნიორ ბანკებთან ერთად

agreement on plastic card service between International Payment System was signed between CARTU BANK and Diners Club International.

By means of capitalization of two banks and creation of one strong financial institution, the BANK occupied one of the leading places in Georgian banking system due to the volume of its assets and capital.

The traditional business rating of Media Holding “Georgian Times” nominated the Company CARTU BANK and its Manager as one of the best among 21 private companies.

2003 the BANK obtained the right to provide the American Express and Diners Club services.

May 25 2003 - on the annual festive ceremony, CARTU BANK was nominated as “The Best Company/Business” of the year. The Bank was awarded a prize for the nomination - “Stable Progress and Dynamics”.

2003 - the Bank started issuing the MasterCard plastic cards, and later started its service. After certifying of the MasterCard in International payment system, on **October 7, 2004** the CARTU BANK was awarded the right of service of the MasterCard at sale and service outlets in Georgia.

Today CARTU BANK is the sole bank on the local market, which services VISA, MASTERCARD, AMERICAN EXPRESS and DINERS CLUB International plastic cards.

2004 - Plastic Cards Service and Processing Department issued 10 000 plastic cards for individuals as well as within the framework of payroll projects.

In 2004 the BANK, with the partner Banks, implemented new banking product - money transfers “Express Mail” to Russia and CIS countries (Azerbaijan, Armenia, Ukraine, Kyrgyzstan, Tajikistan, Uzbekistan, Moldova).

Today CARTU BANK carries out banking operations and provides service to all segments of clientele with help of the Head Office, four branches and one Service Center.

განვითარების ისტორია

HISTORY OF DEVELOPMENT

დანერგა ახალი საბანკო პროდუქტი - ფულადი გზავნილები „სწრაფი ფოსტა“ რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, მოლდოვა).

ამჟამად „ბანკი ქართუ“ სათაო ოფისის, ოთხი ფილიალისა და ერთი სერვისცენტრის საშუალებით ახორციელებს საბანკო ოპერაციებს, ემსახურება კლიენტურის ყველა სეგმენტს საქართველოში.

„ბანკი ქართუ“ ვიზა და მასტერქარდის საერთაშორისო სისტემის ძირითადი წევრია. ბანკი საერთაშორისო ვიზა პლასტიკური ბარათების ფართო არჩევანთან ერთად მომხმარებელს თანამედროვე და პოპულარულ საბანკო პროდუქტს - მასტერქარდის პლასტიკურ ბარათებს სთავაზობს, აგრეთვე უზრუნველყოფს მათ მომსახურებას საქართველოს სავაჭრო და მომსახურე ობიექტებში.

ქალაქთბილისის 300-ზე მეტ სავაჭრო და მომსახურების ობიექტში დამონტაჟებულია პლასტიკური ბარათების გამოყენებისა და უნაღდო ანგარიშსწორებისთვის „ბანკი ქართუს“ POS ტერმინალები და იმპრინტერები. იზრდება „ბანკი ქართუს“ ბანკომატების ქსელი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

2004 წლის განმავლობაში ბანკის პრიორიტეტული სტრატეგია კორპორატიულ კლიენტებზე იყო ორიენტირებული და ძირითადი აქცენტიც სწორედ რომ მსხვილი პროექტების განხორციელებაზე გამახვილდა. საქართველოში მაღალი საბანკო კონკურენციის პირობებში „ბანკმა ქართუმ“ თავისი, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა - იგი აფინანსებს მსხვილ კორპორატიულ კლიენტებს. დღეისათვის ბანკის კლიენტურის ძირითადი ნაწილი, როგორც საშუალო ბიზნესის მენარმეები, ასევე მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები არიან.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდში „ბანკმა ქართუმ“ კლიენტთა ბიზნესის განვითარების ბანკის იმიჯი დაიმკვიდრა. ამასთან, „ბანკი ქართუ“ კლიენტის საქმიანობის გაფართოებასა და წინსვლაში სანდო პარტნიორად გვევლინება. სამომავლოდ კი მისი განვითარება დაგეგმილია, როგორც მსხვილ საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე ორიენტირებული სპეციალიზებული ბანკი.

CARTU BANK is the leading member of VISA and MasterCard international system. Coupled with the wide choice of international Visa plastic cards, the Bank offers its customers modern and popular banking product - MasterCard plastic cards, and ensures their use at sale and service outlets of Georgia.

In more than 300 sale and service outlets in Tbilisi, the POS terminals and imprinters for the usage of plastic cards and non-cash payments are installed. ATMs network of CARTU BANK is increasing both in Tbilisi and in regions.

During 2004, the Bank's priority strategy was oriented towards corporate clients and special emphasis was focused on development of major projects. In the environment of high banking competition CARTU BANK occupied a very important place - it finances large corporate clients. Today the main part of the Bank clientele is both medium and big business entrepreneurs.

We may say that, during the past period CARTU BANK obtained the image of a client business development bank. At the same time, CARTU BANK is a reliable partner in expanding and progress of the clients business. In future, the Bank intends to become a special bank oriented on financing large investment projects.

მენეჯმენტის ანგარიში

MANAGEMENT REPORT

► მენეჯმენტის სტრუქტურა

► MANAGEMENT STRUCTURE

სამეთვალყურეო საბჭო

SUPERVISORY BOARD

გიორგი ლომაია

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

GIORGI LOMAIA

Chairman of the Supervisory Board

გიორგი ჩრდილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

GEORGE CHRDILELI

Deputy chairman of the Board

ზაზა მაჭარაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ZAZA MACHARASHVILI

Member of the Supervisory Board

აღმასრულებელი მენეჯმენტი

EXECUTIVE MANAGEMENT

ნათო ხაინდრავა

გენერალური დირექტორი მ.შ.

NATO KHAINDRAVA

Acting General Director

დიმიტრი კუმსიშვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე

DIMITRI KUMSISHVILI

Deputy General Director

გოჩა ჩიკვილაძე

ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ინკასაციის სამსახურის უფროსი

GOCHA CHIKVILADZE

Head of Economical Security and Collection Service

მანანა ნადირაძე

საფინანსო დეპარტამენტის დირექტორი - მთავარი ბუღალტერი

MANANA NADIRADZE

Director of Financial Department - Chief Accountant

ზურაბ თევზაძე

ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის დირექტორი

ZURAB TEVZADZE

Director of the Economical Analysis Department

ნანა კურიძე

პლასტიკური ბარათების მომსახურებისა და პროცესინგის დეპარტამენტის დირექტორი

NANA KURIDZE

Director of Department of Plastic Cards Service and Processing

მორის ჯიბუტი

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი - საბანკო საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი

MORIS JIBUTI

Director of Information Technologies Department

მენეჯმენტის სტრუქტურა**MANAGEMENT STRUCTURE****ზურაბ გოგუა**

საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორი

რამაზ ქურდაძე

იურიდიული განყოფილების უფროსი

რუსუდან დოლიძე

საკასო მომსახურებისა და ფასეულობის განყოფილების უფროსი

ნანა სირაძე

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

ვლადიმერ ასათიანი

საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი

კახაბერ კაციაძე

ანგარიშსწორების, საკორესპონდენტო ურთიერთობებისა და დოკუმენტური ოპერაციების განყოფილების უფროსი

გიორგი მიქაბერიძე

კლიენტთა მომსახურების ცენტრის უფროსი

გიორგი ტრიპოლსკი

აქტიური ოპერაციების განყოფილების უფროსი

ზვიად ხუხუნაშვილი

ფასიანი ქაღალდების განყოფილების უფროსი

ალექსანდრა ქეთიშვილი

პლასტიკური ბარათების საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი

ირინა მუსერიძე

კადრების განყოფილების უფროსი

დავით წულუკიძე

სამეურნეო განყოფილების უფროსი

ლალი გალუმაშვილი

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერი

ZURAB GOGUA

Director of Credit Department

RAMAZ KURDADZE

Head of Legal Department

RUSUDAN DOLIDZE

Head of Cash Services and Valuables Department

NANA SIRADZE

Head of Internal Audit Service

VLADIMIR ASATIANI

Head of Planning-Economical Division

KAKHABER KATSITADZE

Head of Settlement, Correspondent Banking and Documentary Operations Department

GIORGI MIKABERIDZE

Head of Customer Service Center

GIORGI TRIPOLSKI

Head of Active Operations Department

ZVIAD KHUKHUNASHVILI

Head of Securities Department

ALEXANDER KETISHVILI

Head of Plastic Cards Information Technologies Unit

IRINA MUSERIDZE

Head of Human Resource Department

DAVIT TSULUKIDZE

Head of Administrative Department

LALI GALUMASHVILI

Marketing and Public Relations Department Manager

საკრედიტო საქმიანობა

CREDIT INFORMATION

2004 წლის 12 თვეში „ბანკი ქართუს“ საკრედიტო პორტფელის მოცულობა, წინა წელთან შედარებით 81%-ით გაიზარდა და 122 მლნ. ლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ „ბანკი ქართუს“ საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ ბანკს წარმოადგენს, რომელიც ბოლო პერიოდში ადგილობრივ ბაზარზე ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით ლიდერის პოზიციებს სტაბილურად ინარჩუნებს.

2004 წლის განმავლობაში გრძელდება ბანკის საკრედიტო პორტფელის დინამიური ზრდა, ამავე დროს გაუმჯობესდა პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენებელი. საკრედიტო საქმიანობა კვლავაც დარჩა ბანკის სტრატეგიულ მიმართულებად.

გასულ წელს გაუმჯობესდა საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა. წმინდა სესხები მთლიანი სესხების 98%-ს შეადგენდა. ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე ბანკის პორტფელში მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქსირებულა, რაც ბანკის საკრედიტო პოლიტიკისა და საკრედიტო საქმიანობის მართებულობაზე მეტყველებს.

გასულ საფინანსო წელს შეიმჩნეოდა სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების ტენდენცია. მნიშვნელოვანია, რომ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება ქვეყანაში მენარმეობის განვითარების უფრო ხელსაყრელ გარემოს ქმნის. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკის საკრედიტო პორტფელის საშუალო შენონილმა პროცენტმა წლიური 13,06% შეადგინა.

2004 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საკრედიტო პოლიტიკისა და დაკრედიტების მეთოდოლოგიის დახვეწის მიმართულებით. სერიოზული ყურადღება მიექცა ბიზნეს-პროექტების დამუშავებას და მათი დამტკიცების ვადებს. „ბანკი ქართუს“ ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს სტრატეგიული სეგმენტის მოთხოვნები.

ბოლო წლების განმავლობაში დაიხვეწა და შეიცვალა სესხების გაცემის პრინციპები. ბანკის საკრედიტო პოლიტიკა უფრო მეტად მოქნილი, ხოლო სესხის აღება უფრო ხელსაყრელი გახდა.

წმინდა სესხებს ბანკის წმინდა აქტივების 58% უჭი-


In 12 months of 2004 the volume CARTU BANK Credit Portfolio, as compared with the previous year, increased by 81% and exceeded 122 million GEL. Note that CARTU BANK is one of the largest banks in Georgia, which, has been recently the stable leader on the local market in terms of all basic financial indicators.

In 2004 expanding of credit portfolio continued dynamically, also the quality performance of the portfolio significantly improved. Credit activity is still a strategic direction of the Bank.

Credit portfolio structure was improved last year. The net loans made up 98% of the total loans. With the political cataclysms in the country, there were no major problems in the banks credit portfolio which could affect credit policy and credit activity of the Bank.

During the past fiscal year, loan interest rates decrease was noticeable. It is important that, decrease of the loan interest rate creates a more favorable environment for the development of business in the country. During 2004 the Bank's average weighted interest rate fell down to 13.06% per year.

Major works were carried out to improve credit policy and crediting methodology in 2004. Much attention was



რავს, მათგან 99,8% უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებია, დანარჩენი - ეროვნულ ვალუტაში.

2004 წელს ბანკის საკრედიტო საქმიანობის ძირითადი მიმართულება კვლავაც საშუალო და მსხვილი ბიზნესის დაფინანსება იყო. საშუალო და მსხვილი ბიზნესის დაფინანსების განვითარების მიზნით, „ბანკი ქართუს“ მიერ ბოლო პერიოდში რიგი ღონისძიებები განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა კომპანიების საკრედიტო მომსახურების ხარისხის ამაღლებას, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეს და მს ესხეზლების მოთხოვნათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ამ ღონისძიებების საფუძველი, საკრედიტო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ, საკრედიტო საქმეების ანალიზის ტექნოლოგიების დახვეწა გახდა.

2004 წელს გრძელვადიანი დაკრედიტების მხრივ ბანკის აქტიურობა გაიზარდა. 2004 წლის მდგომარეობით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული სესხების მოცულობამ მთლიანი სესხების 84% შეადგინა, მაშინ როცა გასულ წელს ეს მაჩვენებელი 60%-ს არ აღემატებოდა.

„ბანკი ქართუს“ მოქნილი საკრედიტო პოლიტიკის შედეგად, თბილისსა და რეგიონებში მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. საანგარიშგებო პერიოდში გამოიკვეთა მსესხებლების რაოდენობის ზრდის ტენდენცია. ბანკის საკრედიტო დეპარტამენტი თითოეული კლიენტის კომერციულ საქმიანობას, ფინანსურ მდგომარეობას, მის კრედიტუნარიანობას და სესხების უზრუნველყოფას დეტალურად შეისწავლის და რისკ-ფაქტორს განსაზღვრავს. მუდმივად ხორციელდება კრედიტის ათვისებისა და გამოყენების


focused on elaboration of business-plans and approval of their time limits. CARTU BANK seeks to meet strategic segment requirements to the max.

Principles of issue of loans were improved and modified during the past years. Credit policy of the Bank became more flexible and taking of loans became more favorable. Net loans make 58% of net assets, hence 99.8% are loans issued in foreign currency and the remained ones - in national currency.

The core credit business of the Bank was still financing of medium and big businesses. To develop financing of medium and big businesses, CARTU BANK arranged many measures intended to improve quality of credit service of companies, enhance decision-making process and meet the requirements of borrowers to the maximum extent. Improvement of methods of credit business by employees of the Credit Department served as a basis for these arrangements.

In 2004 the Bank intensified its activity in terms of long-term crediting. As of 2004, the amount of loans issued for more than a year totaled 84%, whereas this rate did not exceed 60% in the last year.

In view of flexible credit policy of CARTU BANK, several significant projects were implemented in Tbilisi and regions. Trend of increase of number of borrowers was underscored during the accounting period. Credit Department of the Bank thoroughly studies commercial activity, financial standing, credit capacity and loan guarantee of each customer and assesses risk-factors.



ლარი/GEL

▶ ბანკთაშორისი სესხები Interbank loans	5 475 000
▶ ვაჭრობა და მომსახურება Loans issued to trade and service sector	34 825 570
▶ მშენებლობა Loans issued to construction sector	7 549 968
▶ სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი დარგი Loans issued to mining and processing sector	36 603 861
▶ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა Loans issued to transport and communications sector	1 058 500
▶ ფიზიკურ პირები Loans issued to physical persons	12 781 677
▶ სხვა დარგები Loans issued to other sectors	23 734 981

მონიტორინგი. სესხის მოცულობები, საპროცენტო განაკვეთები და ხანგრძლივობა მაქსიმალურად მიესადაგება მენარმე სუბიექტების მოთხოვნებს. მაქსიმალურად გამარტივებულია სესხის გაცემის პროცედურა. ამასთან, საკმაოდ მოქნილია სესხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნებიც.

მნიშვნელოვანია, რომ ბანკი მუდმივად ზრუნავს კლიენტების მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მონოდებულია მათთვის ხელსაყრელი ახალი პირობების შესათავაზებლად. კრედიტების პროცესის სრულყოფით, ინფორმაციის სისტემატიზაციით, ახალი საფინანსო ინსტრუმენტების ათვისებით ბანკი ცდილობს ხელი შეუწყოს კლიენტთა ბიზნესისთვის სასურველი პირობების შექმნას. ბანკის საკრედიტო პორტფელის ზრდა და ხარისხიანობა დაკრედიტების სწორ დივერსიფიკაციას ეფუძნება.

„ბანკი ქართუ“ კვლავ რჩება საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთ უმსხვილეს კრედიტორად. დაკრედიტების პრიორიტეტად ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის ამოქმედების ხელშეწყობა მიიჩნეოდა. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტმემცველი წარმოების დაფინანსებას.

მნიშვნელოვანია, რომ ბანკისა და კორპორატიული კლიენტების თანამშრომლობით მხარეებს შორის სრულიად ახალი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა - ბანკმა სანდო ბიზნესპარტნიორის რეპუტაცია დაიმკვიდრა.

„ჩვენი სესხები ერგება თქვენი ბიზნესის მოთხოვნებს და არა პირიქით“, - ასეთია ბიზნესის დაკრედიტებისას „ბანკი ქართუს“ გზავნილი.


Credit use monitoring is effected on a permanent basis. Amount of loan, interest rates and duration complies with the requirements of entrepreneurs. Procedure of issuing loans is simplified to the limit. Moreover, requirements related to securing of loans are extremely flexible.

Noteworthy is that the Bank's activity is aimed at meeting increasing demands of its customers. The main task of the Bank is to offer new and favorable conditions to its customers. The Bank seeks to support its customers in creation of favorable business environment by improving credit process, classifying information and developing new financial instruments. Increase of credit portfolio and quality is dependent on accurate diversification of crediting.

CARTU BANK is still one of the largest creditors of Georgian industry. Active development of industrial potential of the country was considered as crediting priority. Therefore, financing of export- and import - oriented industry was vitally important.

Noteworthy is that absolutely new kinds of relations were built between the parties due to cooperation between the Bank and its corporate clients - the Bank won the reputation of reliable business partner.

“Our loans meet your business requirements and not vice versa”, - this is a message of CARTU BANK Management during business crediting.



ფინანსები

FINANCES

გასულ წელს ბანკის მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. საკმაოდ დიდი ზრდა დაფიქსირდა ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით. „ბანკი ქართუს“ ფინანსური მაჩვენებლები გასულ წელს მომგებიანობის ფარგლებში პოზიციონირებდა. 2004 წელს ბანკის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 30 128 ათასი ლარიდან 42 088 ათას ლარამდე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანკის სუბორდინირებული ვალდებულებები (72 მლნ. ლარზე მეტით), ასევე გაიზარდა მოზიდული სახსრები კლიენტების ანგარიშებზე. აღნიშნული რესურსების მოზიდვის გამო გაიზარდა შემოსავლიანი აქტივების მოცულობა. კერძოდ, საკრედიტო დაბანდება თითქმის გაორმაგდა, ხოლო ფასიანი ქაღალდების მოცულობა კი მნიშვნელოვნად გაიზარდა.






2004 წლის განმავლობაში ბანკის წმინდა აქტივები სტაბილურად იზრდებოდა და წლის ბოლოს 205,671 ათასი ლარი შეადგინა. იგი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 88,9 მლნ ლარით (ანუ 76%-ით). ამ მაჩვენებლის მიხედვით, „ბანკი ქართუ“ საქართველოს საბანკო სექტორში ერთ-ერთ პირველ პოზიციას იკავებს. ლიკვიდური აქტივების მოცულობამ 39,5 მლნ ლარი შეადგინა, წმინდა აქტივების 19%. საქართველოს საბანკო ბაზარზე „ბანკი ქართუს“ წილი ხასიათდება ზრდის ტენდენციით. აქტივების ხვედრითი წილი საბაზრო წილის 12%-ს უდრის, ვალდებულებებისა კი 11,2%-ს. მოგებამ გასული წლის საფინანსო წლის განმავლობაში 586 ათასი ლარი შეადგინა.

Image of the Bank significantly raised in the last year. Especially significant growth was fixed pursuant to financial showings. Last year the showings of CARTU BANK were positioned within the framework of profitability. In the year 2004 the share capital of the Bank raised from 30 128 thousand GEL up to 42 088 thousand GEL. Subordinated liabilities of the Bank were considerably increased (by more than 72 mln GEL), as well as the attracted funds were increased on customers' accounts. Amount of profit-yielding assets was increased thanks to attraction of these funds. In particular, investment of credit practically doubled, and volume of securities drastically came up.

Stable and balanced growth of net assets of the Bank could be observed in 2004 and, by the end of the year it totaled 205,671 thousand GEL. This index was increased by 88,9 mln GEL (i.e. 76%) as compared with the previous year. CARTU BANK occupies one of the first positions in the banking sector of Georgia. Volume of liquid assets totaled 39,5 mln GEL, Net assets - 19%. Specific share of CARTU BANK on the banking market of Georgia is characterized with the growth trend. The share of assets amount to 12% and the share of liabilities totals 11,2%. Proceeds of the Bank totaled 586 thousand GEL during the last fiscal year.

ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა (ათას ლარებში)
Key Showings Dynamics (in thousand GEL)

	2001	2002	2003	2004
საკუთარი კაპიტალი/Home Equity	40 586	44 164	45 684	58 230
წმინდა სესხები/Net Loans	39 958	57 753	61 831	119 339
სადეპოზიტო პორტფელი/Deposit Portfolio	23 426	28 045	51 968	65 661
მთლიანი აქტივები/Total assets	66 635	93 794	116 755	205 671
მთლიანი ვალდებულებები/Total liabilities	25 227	48 800	70 223	146 687
სულ შემოსავლები/TOTAL revenues	7 871	11 934	13 964	18 149
სულ ხარჯები/TOTAL expenditures	7 273	8 355	12 444	17 563
წმინდა მოგება (ზარალი)/Net profit (loss)	599	3 579	1 520	586
თანამშრომელთა რაოდენობა/Number of employees	166	186	200	200
საშუალო წლიური კაპიტალი/Average annual capital	27 798	37 762	46 022	45 427
საშუალო წლიური აქტივები/Average annual assets	49 999	84 099	106 279	148 210



პერსონალი

PERSONNEL

მნიშვნელოვნად გაიზადა პერსონალის ანაზღაურების ხარჯი, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ბანკის გაფართოების სტრატეგიით, შტატების გაზრდითა და ხელფასების მომატებით. ერთმანეთის ნდობა, საერთო მიზნის არსებობა და, რა თქმა უნდა, დაფასება - ეს ის პრინციპებია, რომელთაც ეყრდნობიან ბანკის ხელმძღვანელები და თანამშრომლები. კადრების სწორად მართვას კომპანიის წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო პერიოდში კადრებისადმი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა და მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრინდელისაგან. ბანკში მუშაობს 200 თანამშრომელი, მათი საშუალო ასაკი 35-40 წელია. დღეს ბანკს წარმოადგენს პროფესიონალური კოლექტივი, რომელიც ორიენტირებულია მუშაობის მაღალ ხარისხზე.

მეგობრული დამოკიდებულება კლიენტებსა და პარტნიორებთან, მზადყოფნა მათთან მჭიდრო კონტაქტზე, ბიზნეს-ტექნოლოგიების ეფექტურობა, ორიენტირება კლიენტთა ინდივიდუალურ მომსახურებაზე და პარტნიორებთან მაღალორგანიზებული ურთიერთობა, პერსპექტიული ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიზნესის გაფართოება და განვითარება დაბალი დანახარჯებით - ეს ის პრინციპებია, რითაც ბანკის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ.

Outlays for personnel remuneration were increased significantly, that, first of all, is stemming from the strategy of bank expansion, staff increase and wage-push. Confidence, common goal and, of course, appreciation: Management and employees of the Bank are guided by these pillars and principles. Proper management of the staff serves to the benefit of the company.

Attitude towards the personnel drastically changed during the last period and significantly differs from the previous one. 200 employees are working at the Bank. Mean age of the employees is 35-40. High-skilled personnel oriented on high-quality performance are working at the Bank today.

Friendly relations between customers and partners, readiness to establish close contacts therewith, efficiency of business technologies, orientation on individual service of customers and high-organized relationship with partners, advanced information technologies, expansion and development of business with small outlays - key principles adhered to by the employees of the Bank.

საბანკო მომსახურება

BANKING SERVICE

„ბანკი ქართუ“ მომხმარებელს მთელი სამუშაო დღის განმავლობაში, შესვენების გარეშე სთავაზობს საბანკო მომსახურებას. ბანკის მომსახურება უზრუნველყოფს მინიმალური სატარიფო განაკვეთებით კლიენტთა მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ჩვენს პრინციპად კვლავ რჩება კლიენტების ინტერესების, მათი კონფიდენციალობის დაცვა. ბანკი ეხმარება თავის კლიენტებს, რათა იყვნენ წარმატებულნი თავიანთ საქმიანობაში.

„ბანკი ქართუ“ უნივერსალურ საბანკო დაწესებულებას წარმოადგენს. მის მიერ შეთავაზებული საბანკო პროდუქტების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია: მიმდინარე, მულტისავალუტო, სადეპოზიტო ანგარიშების მომსახურება, გადარიცხვების წარმოება „სვიფტის“ საერთაშორისო სისტემის მეშვეობით, საკონვერსიო ოპერაციები სხვადასხვა ვალუტაში, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, მონაწილეობა საკრედიტო აუქციონებზე, ვადიანი ანაბრები, დოკუმენტური აკრედიტივი, სავაჭრო ოპერაციები და გარანტიები, ხუთი სახის ვიზა და მასტერქარდის პლასტიკური ბარათი, საკუთარი საპროცესინგო ცენტრი, საკრედიტო საქმიანობა, საინვესტიციო დაბანდებები, რეგიონული მომსახურება ფილიალების ქსელის მეშვეობით.

სს „ბანკი ქართუ“ თავის კლიენტურას სთავაზობს კვალიფიციურ კონსულტაციებსა და დოკუმენტური ოპერაციების სრულ სპექტრს მაღალი ხარისხის მომსახურებით.

ბანკი ემსახურება ათასობით ადგილობრივ და უცხოელ კლიენტს. ბანკის კლიენტებს წარმოადგენენ როგორც კერძო, ისე იურიდიული პირები, საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები, საზოგადოებრივი და კერძო კომპანიები, რეზიდენტი და არარეზიდენტი პირები.

CARTU BANK provides banking service to its customers within the whole business day, without refreshment break. Service of the Bank with minimum tariff rates meets requirements of customers to the maximum extent. Our principal is still to protect interests of customers and maintain their confidentiality. The Bank promotes its customers in looking up their business.

CARTU BANK is the universal banking institution. It offers a wide spectrum of bank products: current, multi-currency, deposit accounts services, remittance via SWIFT international system, conversion operations in various currency, sales-purchase currency operations on the Tbilisi Interbank Foreign Exchange participation at credit auctions, time deposits, documentary letter of credit, trade operations and guarantees, five-type Visa and MasterCard plastic card, own Processing Center, credit business, investments, regional service via network of branches.

CARTU BANK provides its clientele with high-quality consultations and entire spectrum of documentary operations.

The Bank provides service to thousands local and foreign customers. Among the customers of the Bank are both private and legal entities, as well as international organizations and embassies, public and private companies, resident and non-resident persons.

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

„ბანკი ქართუ“ მყარად არის ინტეგრირებული საერთაშორისო საბანკო სივრცეში. ბანკმა ჯანსაღი, პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა უცხოეთის უმსხვილეს საბანკო დაწესებულებებთან. მონაცემთა გაცვლის თანამედროვე ელექტრონული ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, გაადვილდა და დაჩქარდა ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, რამაც, თავის მხრივ, მოგვცა ხარჯების შემცირების, სამუშაოს შესრულების სისწრაფისა და მნიშვნელოვანი ოპტიმიზაციის საშუალება.

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებისას მნიშვნელოვანია თანხლები რისკების სწორად გაანალიზება და მათგან თავდაცვის მიზნით გარკვეული ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება.

წინა წლებთან შედარებით, 2004 წელს განსაკუთრებულად მასშტაბური იყო კლიენტურის მხრიდან ბანკის საგარანტიო ოპერაციებით სარგებლობა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ გასულ წელს ბანკმა საგარანტიო ოპერაციათა რაოდენობითა და მოცულობით ადგილობრივ საბანკო ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. ეს განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით. მათ შორისაა: მაღალი ხარისხის სერვისი, კლიენტურაზე ზრუნვა, კვალიფიციური კონსულტაციების განევა, მომსახურების კონკურენტუნარიანი ტარიფები და ა.შ.

თანამედროვე პირობებში შესამჩნევად მოიმატა საგარეო-სავაჭრო ოპერაციების მოცულობამ. აქედან გამომდინარე, გაიზარდა კლიენტურის მოთხოვნა საერთაშორისო გარიგებებზე დამყარებულ საბანკო ოპერაციებზე, რომელთა შორის მონიწივე როლს დოკუმენტური ოპერაციები თამაშობენ.

„ბანკი ქართუს“ საქმიანობაში 2004 წელი ამ ტიპის ოპერაციათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საექსპორტო აკრედიტივების რაოდენობისა და მოცულობის, შესაბამისად, ხვედრითი წილის ზრდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდებოდა ბანკის კლიენტურის ბაზის გაფართოებასა და ძველი, ერთგული კლიენტებისათვის ხელსაყრელი მომსახურების შეთავაზებას.

გასულ წელს ბანკი წარმატებით აგრძელებდა მა-

CARTU BANK takes up a solid position in integrated international banking area. The BANK established sound and professional relationships with the biggest foreign banking institutions.

Taking into account advanced electronic instruments of data exchange, data mining and processing became easier and faster, that, in its turn, reduced costs, and accelerated work performance, as well as stimulated optimization.

While performing operations related to foreign commerce, it is required to make benefit-risk analysis in a proper manner and develop particular economic and financial instruments aimed at averting of running a risk.

Compared with previous years, in 2004 clientele of the BANK significantly applied to operations on bank guarantees. Suffice it to say that last year the Bank won one of the leading positions on the banking market thanks to number and volume of guarantee operations. It is proved by several factors. Among them are: high-quality service, customers care, rendering highly qualified consultations, competitive service tariffs, etc.

The volume of foreign-trade operations has considerably increased in the current situation. Hence, demands of clientele on international transactions based on bank operations (where documentary operations play a key role) have grown.

In 2004 the Bank's activity was marked out for variety of such sort of operations. One may highlight the number and volume of export letter of credit and, accordingly, increase of share. This, first of all, is related to expansion of BANK clientele base and, providing service beneficial to its old faithful customers.

Last year the Bank successfully continued offering high-quality service proposals and upholding solid image on the Georgian banking market. It should be noted the attention to expansion of spectrum of guarantee operations service. Experience gained and prestige won last year played a crucial role in popularization of bank guarantee, as one of the widely-spread bank products of CARTU BANK.

It is backed by the fact that in 2004 the largest transport, communication and municipal organizations of the country applied to this service of the Bank.

ღალი ხარისხის სერვისის შეთავაზებას და საქართველოს საბანკო ბაზარზე დამკვიდრებული მყარი იმიჯის შენარჩუნებას. საჭიროა აღინიშნოს, რომ საგარანტიო ოპერაციათა მომსახურების სპექტრი საგრძობლად გაფართოვდა. გასულ წლებში მიღებული გამოცდილება და ავტორიტეტი გადამწყვეტ ფაქტორად იქცა „ბანკი ქართუს“ მიერ საბანკო გარანტიის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საბანკო პროდუქტის პოპულარიზაციაში. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ 2004 წელს ბანკის ამ მომსახურებით ისარგებლეს ქვეყნის უმსხვილესმა სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და მუნიციპალურმა ორგანიზაციებმა. ამასთან, ხშირ შემთხვევაში საბანკო გარანტიის თანხები ქვეყნის მასშტაბით სოლიდურ მაჩვენებლებს აღწევდა. მაგალითისთვის, თუნდაც ბანკის მიერ 4 მლნ აშშ დოლარზე გახსნილი საბანკო გარანტია გამოდგება, რომელიც ბანკის ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიული კლიენტის დავალებით გაიცა.

„ბანკი ქართუს“ კვლავ აქტიურად ახორციელებდა 2004 წლის განმავლობაში დოკუმენტური ოპერაციებს საკუთარი საკორესპონდენტო ქსელის მეშვეობით, სადაც წამყვან როლს კვლავაც **Dresdner Bank AG, Frankfurt** ასრულებდა. გარდა ამისა, შესამჩნევად მოიმატა ამ ტიპის ოპერაციათა რაოდენობამ და მოცულობამ **IMPEXBANK, MOSCOW**-ის გავლით, რაც საუკეთესო წინაპირობაა მომავალში **IMPEXBANK** - დან საკრედიტო ხაზის მისაღებად. ეს მნიშვნელოვნად გაუადვილებდა ბანკს მისი კლიენტურის მუდამ მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და გაუთავისუფლებდა დიდი რაოდენობის რესურსებს სხვა სფეროში დასაბანდებლად.

პარალელურად, აღნიშვნის ღირსია 2004 წლის ბოლოს **Dresdner Bank** -ის დახმარებით დაწყებული მსხვილი საკრედიტივო ოპერაცია, რომელიც ბანკის პირველხარისხოვანი კლიენტის დავალებით წამოიწყო. ზოგადად, კლიენტებზე განუწყვეტელი ზრუნვა „ბანკი ქართუს“ უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა. ამიტომ, ჩვენი საქმიანობა სწორედ ზემოაღნიშნულ პრინციპს (**CUSTOMER CARE**) ეფუძნება.

Moreover, sums of bank guarantees frequently mounted to solid figures on the country scale. For instance, a bank guarantee for 4 mln US dollars was issued on behalf of one of the most strategic customers of the BANK.

In 2004 CARTU BANK again actively conducted documentary operations through its own network of correspondent-banks, the leading hand of which was Dresdner Bank, AG, Frankfurt. In addition, number and volume of such kind of transactions via IMPEXBANK, MOSCOW considerably increased. It created a good environment for further establishment of the credit line with IMPEXBANK.

This would simplify the process aimed at meeting constantly growing demands and preferences of its clientele and unallocated large amount of funds in order to invest them in other areas.

Simultaneously, it is noteworthy that large L/C operation had been launched by the end of 2004 with the assistance of Dresdner Bank. This operation was started by order of a first-class customer of the Bank. In general, the core objective of CARTU BANK is taking into account concerns of its customers. Thus, our business is based on CUSTOMER CARE principle.

ფასიანი ქაღალდები

SECURITY

„ბანკი ქართუ“, მის მიერ დაფუძნებული საბროკერო კომპანიის „ქართუ ბროკერის“ საშუალებით მართავს ოპერაციებს საქართველოს საფონდო ბაზარზე, ასევე საინვესტიციო პორტფელებისა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისთვის გამოყოფილ სახსრებს, ინახავს და აღრიცხავს საინვესტიციო სახსრებს ან/და ფასიან ქაღალდებს, ემსახურება ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელებს.

2004 წლის ზაფხულში ბანკმა შეადგინა რუსეთის საწარმოების ფასიანი ქაღალდების პორტფელი, საერთო მოცულობით 23 მლნ. აშშ დოლარი. გამოიყენა რა, საზაფხულო დასვენებების პერიოდი და არსებული დაბალი ფასები, ბანკმა გახსნა გრძელი პოზიციები 30-ზე მეტ ემიტენტის ფასიან ქაღალდებში.

პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდები ინახება მოსკოვის ერთ-ერთ მყარ და საიმედო ბანკ-დეპოზიტარ - ING BANK (EURASIA) -ში, ხოლო ბრძანებები ყიდვა-გაყიდვის შესახებ ეძლევა ბროკერს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს რუსეთის სავაჭრო სისტემის სავაჭრო სესიებში.

პორტფელში წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდების ფართო სპექტრი. მის შემადგენლობაში შედის როგორც blue chip-ები, ისე მეორე ეშელონის ფასიანი ქაღალდები. დარგების მიხედვით პორტფელში წარმოდგენილია მეტალურგიული, სატელეკომუნიკაციო, მანქანათმშენებლობის, ენერჯეტიკის და საბანკო სექტორის საწარმოების აქციები. პორტფელის ფორმირება განხორციელდა ისე, რომ მასში შევიდნენ აგრესიულად მზარდი აქციები (მეტალურგია - ფოლადზე ფასების ზრდის პიკზე), პერსპექტიული აქციები (ფიქსირებული კავშირის ოპერატორები - პრივატიზაციის მოლოდინში), სტაბილური აქციები (მანქანათმშენებლობის სექტორი) და დამცავი აქციები (საბანკო სექტორი).

პორტფელის მართვის მიზნით, ბანკში შეიქმნა ფასიანი ქაღალდების განყოფილება. განყოფილება აღჭურვილია Bloomberg-ის და Reuters-ის სისტემებით, ოპერაციების საინფორმაციო, ანალიტიკური და ტექნიკური მხარდაჭერისთვის.

პორტფელის მართვა ხორციელდება „საინფორმაციო ფონდის“ პასიურ სტილში, რათა მინიმალური ზიანები ყოფილიყო ტრანზაქციული დანახარჯები. პოზიციები იხსნებოდა და იხურებოდა მათი ზრდის პერსპექტივიდან გამომდინარე.

CARTU BANK, with the help of the brokerage company “CARTU BROKER” established by CARTU BANK, carries out operations on the Georgian stock market, as well as manages funds allocated for operations with investment portfolio and securities, as well as stores and keeps records of investment funds or/and securities, renders service to a nominal holder of securities.

In summer, 2004, the Bank drew up security portfolio with total amount of 23 mln US dollars for enterprises of Russia. The BANK seized on the period of summer vacation and existing low prices and opened long-term positions in more than 30 issuers of securities.

Securities, which are the part of the portfolio, are kept at one of the solid and reliable depositary-bank ING BANK (EURASIA), and orders regarding purchase-and-sale are given to the broker, which directly participates in trading session of Russian trading system.

Portfolio offers a wide spectrum of securities. Among them are blue chips, as well as second class securities. Pursuant to fields, the portfolio is represented by shares of enterprises from metallurgical, telecommunication, mechanical engineering, power system and banking sector. Portfolio was formed by aggressively growing shares (metallurgy - copper prices are the peak of boost), prospective shares (fixed communication operators - waiting for privatization), stable shares (machine-building sector) and protective shares (banking sector).

The Bank established Securities Department in order to manage portfolio. The Department is equipped with Bloomberg and Reuters systems designed for support of information, analytical and technical operations.

Portfolio management was carried out in the manner of passive “Information fund” management so that to minimize

პორტფელის მართვის ეფექტურობის შეფასების ორიენტირად გამოიყენებოდა PTC-ის ინდექსი, რისი შედარებაც ხორციელდებოდა პორტფელის ზრდის ტემპებთან.

ბანკი მომავალშიც აპირებს რუსეთის საფონდო ბაზარზე ოპერაციების განხორციელებას.

previous transaction costs. Positions were opened and closed subject to perspective view of their growth.

PTC index was used as a guiding line for evaluation of portfolio management efficiency. Comparison of this index was made simultaneously with the growth rate of portfolio.

The Bank intends to carry out operation on the Stock Market of Russia.

► დეპოზიტები

ბანკი თავის კლიენტურას სთავაზობს ვადიან დეპოზიტს სამ ვალუტაში (ლარი, დოლარი, ევრო) სამთვიანი, ექვსთვიანი, ცხრათვიანი და ერთწლიანი ვადით. „ბანკი ქართუს“ სადეპოზიტო პორტფელის ხვედრითი წილი საქართველოს საბანკო სისტემის საერთო სადეპოზიტო პორტფელის 7%-ს შეადგენს.

შემუშავდება სადეპოზიტო პროდუქტის ჩანაწერების ახალი წიგნაკი, სახელწოდებით „შემნახველი წიგნაკი“, რომელშიც კლიენტებისთვის რამდენიმე საბანკო პროდუქტის კომბინირებული შეთავაზებაა ჩადებული. კერძოდ, ვადიანი ანაზრის მფლობელი ისარგებლებს შეღავათიანი ტარიფებით სადეპოზიტო სეიფზე (50%-იანი ფასდაკლება) და ამასთან მას უფასოდ დაუმზადდება „ბანკი ქართუს“ პლასტიკური ბარათები (ვიზა ელექტრონი ან მასტერქარდ ბარათის სირუს მასტრო). მეანაზრეს უფლება აქვს ისარგებლოს მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხით ანაზრის პერიოდში (საკრედიტო პროცენტი განისაზღვრება სადეპოზიტო პროცენტს დამატებული 6%).

► DEPOSITS

The Bank offers its clientele time deposits in three types of currency (GEL, USD, EUR) for the period of three, six, nine months, or for a year. Specific share of deposit portfolio of CARTU BANK is 7% of general deposit portfolio of banking system of Georgia.

A new book, the so called “BANKBOOK” was designed for recording deposit products. This book offers multi-purpose proposals of banking products. In particular, a term deposit holder may be granted reduced tariffs for safe (50% discount) and, furthermore, CARTU BANK (VISA Electron or MasterCard Sirius Maestro) plastic cards will be prepared for him/her free of charge. Depositor will be entitled to use short-term consumer’s loan during the period of deposit (interest on credit is 6% added to interest on deposit).

► ფულადი გზავნილები

„ბანკი ქართუ“ მომხმარებელს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საერთაშორისო ფულადი გადარიცხვების სისტემა „ვესტერ იუნიონით“ მომსახურებასთან ერთად მეტად ეფექტურ, სწრაფ და საიმედო გადარიცხვების სისტემას სთავაზობს.

2004 წლის ოქტომბრიდან ახალი პარტნიორი ბანკების მონაწილეობით ფულადი გზავნილების „სწრაფი ფოსტა“ გაგზავნა და/ან მიღება შესაძლებელი გახდა რუსეთში, უკრაინაში, მოლდოვაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში. საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა სწრაფი ფულადი გზავნილების სხვადასხვა სისტემის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობა და ბრუნვის მოცულობა.

